ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს
წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი

N(N)LE Saint Andrew the First-Called Georgian University of the Patriarchate of Georgia

№ _____ 10.10.2021 წ.

ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს
წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის
რექტორის მოვალეობის შემსრულებელი

ბრძანება № 8

ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტში მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის 2021- 2022 სასწავლო წლის ადმინისტრირების შესახებ

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 5 სექტემბრის N11/ნ ბრძანების „პირის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წესის დამტკიცების თაობაზე“, ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის (შემდგომში - უნივერსიტეტი) წესდების მე-6 მუხლის მეორე პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, უნივერსიტეტის დამფუძნებლის სრულუფლებიანი წარმომადგენლის 2021 წლის 30 აგვისტოს N19-კ ბრძანების „უნივერსიტეტის რექტორის დროებით მოვალეობის შემსრულებლად თამაზ ვაჩაძის განსაზღვრის შესახებ“; უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2017 წლის 13 ივლისის სხდომის N14 დამტკიცებული მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების წესი საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. უნივერსიტეტში, მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის 2021 - 2022 სასწავლო წლის ადმინისტრირება უზრუნველყოფილ იქნეს წინამდებარე ბრძანების დანართის შესაბამისად.
2. ბრძანება გასაცნობად და შემდგომი რეაგირებისათვის დაეგზავნოთ: სასწავლო პროცესის რეგულირებისა და სტუდენტთა მომსახურების სამმართველოს, ბუღალტერიას, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის სკოლის დეკანატს.
3. ბრძანება განთავსდეს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და საინფორმაციო დაფაზე.
4. ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და საინფორმაციო დაფაზე დაევალოს საზოგადოებასთან და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურს.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6).
6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორის მოვალეობის შემსრულებელი _____ თამაზ ვაჩაძე

<u>დანართი</u>

მასწავლებელთა მომზადების პროგრამა

აკადემიური კალენდარი

1. შემოდგომის I სემესტრი

ა) **2021 წლის 18 ოქტომბერი - 2022 წლის 19 თებერვალი;**

ბ) სააუდიტორიო მეცადინეობა - 2021 წლის 18 ოქტომბერი - 2022 წლის 5 თებერვალი;

გ) **დასკვნითი შეფასება - (ძირითადი და დამატებითი)** 2022 წლის 31 იანვარი - 19 თებერვალი (სილაბუსის შესაბამისად);

დ) **საშობაო არდადეგები** - 2021 წლის 31 დეკემბერი - 2022 წლის 7 იანვარი;

ე) **სემესტრებს შორის არდადეგები** - 2022 წლის 19 თებერვალი - 5 მარტი.

გაზაფხულის II სემესტრი

ა) **2022 წლის 9 მარტი - 23 ივლისი**

ბ) **სააუდიტორიო მეცადინეობა** - სილაბუსის შესაბამისად

გ) **დასკვნითი შეფასება - (ძირითადი და დამატებითი)** - სილაბუსის შესაბამისად

უქმე დღეები

შემოდგომის სემესტრი:

ა) **14 ოქტომბერი** - სვეტიცხოვლობა (ხუთშაბათი);

ბ) **23 ნოემბერი** - გიორგობა (სამშაბათი);

გ) **19 იანვარი** - ნათლისღება (ოთხშაბათი);

გაზაფხულის სემესტრი:

ა) **3 მარტი** - დედის დღე (ხუთშაბათი)

ბ) **8 მარტი** - ქალთა საერთაშორისო დღე (სამშაბათი)

გ) **9 აპრილი** - ეროვნული ერთიანობის დღე (შაბათი)

დ) **9 მაისი** - ფაშიზმზე გამარჯვების დღე (ორშაბათი)

ე) **12 მაისი** - წმ. ანდრია მოციქულის ხსენების დღე (ხუთშაბათი)

ვ) **26 მაისი** - დამოუკიდებლობის დღე (ხუთშაბათი)